

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა  
და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ  
2018 კალენდარულ წელს გაწეული მუშაობის

ანგარიში



ცენტრის სლოგანია:

„ფიქრი იდეისთვის, კვლევა პროექტისთვის, მართვა წარმატებისთვის“  
„Think for an Idea, Research for a Project, Manage to Succeed“

შესავალი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ შეიქმნა 2000 წლის 8 თებერვალს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ღომის კურთხევით. ცენტრი წამოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო-კვლევით ერთეულს და ფუნქციონირებს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე.

დღეისათვის ცენტრის პერსონალურ შემადგენლობაშია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაგან 12 სტუდენტი - გამგეობის წევრია. ცენტრის წევრები, აგრეთვე, არიან შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტის სტუდენტები.

ცენტრთან არსებულ მრჩეველთა და მზრუნველთა საბჭოებში გაერთიანებული არიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ცენტრს.

ცენტრის გეგმის მიხედვით, 2018 კალენდარულ წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების გახორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძვლზე:

- „შეიმეცნე და ააღორმინე საქართველო“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში (შეიქმნა 2003 წელს);
- „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში (შეიქმნა 2013 წელს);
- „აშშ-ს ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში (შეიქმნა 2004 წელს);
- „ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ბრიტანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში (შეიქმნა 2017 წელს);
- „აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესის კვლევის სექტორში (შეიქმნა 2018 წელს).

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და  
მონაწილეობით 2018 კალენდარულ წელს განხორციელებული  
პროექტები/ღონისძიებები, 2019 კალენდარული და შემდგომი წლების გეგმები

\* \* \*

## 1) ცენტრი „იდეას“ პროგრამული სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტი კახეთში - კარდენახის „ნაღდი მარანი“

**ვიზიტი დაიგეგმა და განხორციელდა ფარგლებში ცენტრის პროგრამისა -  
„შეიმუშავე და აღორძინე საქართველო“.**

საქართველო ვაზით, მევენახეობის კულტურით და ღვინით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, დღეისთვის ნაპოვნი მევენახეობის, ქვევრის და ღვინის არქეოლოგიური ნიმუშები მიუთითებს, რომ ღვინის წარმოება საქართველოში დაახლოებით 8000 წლის წინ დაიწყო, ეს ფაქტი კი საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს. ამას, თავის მხრის ადასტურებს იუნესკოც. გარდა უნიკალური ჯიშებისა და არომატისა, რომელიც ქართული ღვინოს აქვს, საქართველო გამოირჩევა ღვინის დამზადებისა და შენახვის თვითმყოფადი ტრადიციითაც. სწორედ ქვევრი, მარანი, საწნახელი, ღვინის დამზადების ტრადიცია ხდის მას ასეთ განსაკუთრებულს მსოფლიო მასშტაბით. ღვინო საქართველოსთვის ერთგავრი სავიზიტო ბარათია და თუ ჩვენ გვინდა უცხოელ მეგობრებს ქართული კულტურა წარმოვუდგინოთ, ეს ტრადიცია არ უნდა დავივიწყოთ, სათანდოდ შევისწავლოთ და გავავრცელოთ.

**საკითხის სათანადო შესწავლის მიზნით, 2018 წლის 4 თებერვალს სტუდენტური ცენტრი „იდეას“ დელფინაცია (დირექტორი - გ. შიხაშვილი, ცენტრის მენეჯერები-სტუდენტები ნ. თოდუა, თ. ჩუბინიძე, მ. თევზაძე) კახეთში, კერძოდ კი კარდენახში კაკო ხარაშვილის მარანს ესტუმრა.**

კაკო ხარაშვილმა საუკუნეების წინ დაარსებული მარანი აღადგინა, რომელიც საბჭოურ პერიოდში გაუქმდა და ამ წყობის დაშლის შემდეგაც მიტოვებული და გაძარცვული იყო. კაკო ხარაშვილმა და მისმა მეუღლემ მედეამ გადაწყვიტეს აღედგინათ ეს მარანი თავდაპირველი სახით და ტრადიცია შემოენახათ მომავალი თაობებისთვის. ამ იდეის ხორცშესხმას ბევრი შრომა, წლები და ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ დღეს საქართველოს ამ ულამაზეს მხარეში ხარაშვილებს საოჯახო ბიზნესი აქვთ - „ნაღდი მარანი“. კომპანიის დამფუძნებელი მედეა ხარაშვილი სიხარულით გვიყვება ისტორიას და გვაცნობს იქ არსებულ ღვინის დაყენება-შენახვის ტექნოლოგიებს.

მარანი ინარჩუნებს საუკუნეების წინანდელ კულტურას, ღვინოს ინახავენ ქვევრებში და მუხის კასრებში. კახეთის ღვინოებს შორის გამორჩეულია წარაფი, რომელიც მხოლოდ კარდენახში მოდის, ყურძნის ჯიში ხიხვა 4-ჯერ იყო მსოფლიო გამოფენაზე და ოთხივეჯერ ოქრო აქვს მოგებული. რაც შეეხბა ტექნოლოგიებს, კახური ღვინო უნდა იყოს 4-5 თვე ჭაჭაზე-კლერტოზე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა 2 თვეც გააჩერონ ჭაჭაზე. ყველაზე ძველი ღვინო, რომელიც ამ მარანში ინახება 1994 წლის შემდეგ, მეღვინეს ისევ ჭაჭაზე აქვს შენახული. ფენოლური ნაერთები ღვინოში დაშვებულია 300 მილიგრამამდე, დაწმენდისთვის არ იყენებენ რამე განსაკუთრებულ ტექნლოგიას, რაც ადგილობრივი ყურძნის განსაკუთრებულობით აიხსნება. სიცივისგან დამუშავებული ღვინო ყველაზე კარგია, როდესაც ღვინოს ქვევრიდან

იღებენ, ფილტრაციას უკეთებენ და ისევ ქვევრში აბრუნებენ. შუშის ბოთლების გარდა იყენებენ ტრადიციულ თიხის ბოთლებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქარხანა ყურძენს არ იბარებს, საკუთარი ვენახის მოსავალი საკმარისია ღვინის დაყენებისათვის და სარეალიზაციოდ. ქარხანა წელიწადში 300 ტონამდე ღვინოს აწარმოებს და წარმოება ყოველწლიურად იზრდება „ნაღდი მარანის“ ღვინო ქართული ბაზრის გარდა იყიდება ავსტრალიის, გერმანიის და პოლონეთის ბაზარზე. „ნაღდი მარანს“ 6 სრულ განაკვეთზე დასაქმებული თანამშრომელი ჰყავს. ვაზის გასხვლისა და დაკრეფის დროს კი ისინი დამხმარე მუშებს ქირაობენ.

კარდენაბში ვიზიტის შემდეგ „ნაღდი მარანზე“, ქართულ ღვინოზე და მევენახეობაზე საუბარი შედგა 2018 წლის 10-15 მარტს ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ერთობლივი პროექტის - აკადემიური სემინარის ფარგლებში, სადაც საქართველოდან მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორები და სტუდენტები. ისრაელში სტუდენტური ცენტრი „იდეას“ წევრებმა თ. ჩუბინიძემ, მ. შვანგირაძემ და ა. ყუბანეიშვილმა წარადგინეს გუნდური მოხსენება თემაზე: „მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში - წარსული, აწყო, მომავალი“. ასევე მასპინძლებს გადავუცით ბოთლებში ჩამოსხმული, „ნაღდი მარანის“ ღვინოები.

აკადემიური სემინარი დაკავშირებული იყო ჩვენს უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე წლის იანვარში გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმთან. ქართველებისა და ებრაელებისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენები და მეგობრობა ღვინის გარეშე წარმოუდგენელია, ასე რომ სხვა ყველაფერთან ერთად ისრაელში საზოგადოების წინაშე ქართული ღვინით და მის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული ინფორმაციით თავი ნამდვილად ღირსეულად წარმოვაჩინეთ.

\* \* \*

## 2) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტთან

საერთაშორისო აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის  
ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე

პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა ფარგლებში ცენტრი „იდეას“ პროგრამებისა - „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ და „შეიმცნე და ააღორძინე საქართველო“.

წევევის (ისრაელის სამხრეთი რეგიონი) ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ბგუ) ძირითადი ნაწილი განლაგებულია ქალაქ ბეერ შევაში. ბგუ არის ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო და კვლევითი უნივერსიტეტი და ლიდერობს მსოფლიოს უნივერსიტეტებს შორის მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. უნივერსიტეტში სწავლობს 20 000-ზე მეტი სტუდენტი. უნივერსიტეტის ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო და სასწავლო სტრუქტურული ერთეულია ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

2018 წლის იანვრის ბოლოს ძალაში შევიდა ურთიერთგაგების მემორანდუმი თსუ-სა და ბგუ-ს შორის, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და 10-15 მარტს ბგუ-ში ჩატარდა საერთაშორისო აკადემიური სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე.

სემინარის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, რომლის სპეციალური მოწვევის საფუძველზე ისრაელში გაემგზავრა

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტთა დელეგაცია 15 კაცის შემადგენლობით.

თანაორგანიზატორობის ფუნქცია შეასრულეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“, ფაკულტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ, ისრაელის საელჩომ საქართველოში და ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველომ“.

**11 მარტს** ქართული დელეგაცია ესტუმრა სარწყავი და სასათბურე სისტემების მწარმოებელ საერთაშორისო კომპანია „ნეტაფიმის“ სათავო ოფისს, სადაც კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა გააკეთა საინტერესო მოხსენება კომპანიის მუშაობის შესახებ. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები სოფლის მეურნეობაში წვეთოვანი სარწყავი სისტემის მნიშვნელობისა და საქართველოში მისი წარმატებით დანერგვის შესახებ.

იმავე დღეს ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, ადგილობრივ პროფესორებთან ერთად, გაემგზავრნენ იერუსალიმში და მოილოცეს ქრისტეს აღდგომის ტაძარი.

**12 მარტს** მოვინახულეთ ბგუ-ის სამეცნიერო, სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსები. გაიმართა შეხვედრა უნივერსიტეტის საერთაშორისო აკადემიური ურთიერთობების ოფისის დირექტორთან სტავი ბარამთან და ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ოდედ ლოვენგარტთან. გაგვაცნეს უნივერსიტეტის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ძირითად მიმართულებები. მნიშვნელოვანი იყო ბგუ-ის მხრიდან მიღებული შემოთავაზებები სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის თაობაზე.

**13 მარტს**, სემინარის პროგრამის თანახმად, თსუ-ის დელეგაცია 2 ნაწილად გაიყო.

ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე გამართულ მრგვალ მაგიდაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. თ. ბერიძე („გარდამავალი ეკონომიკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა - კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები“) და პროფ. დ. ნარმანია („საქართველო-ისრაელის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა: განვითარების ადმინისტრირება“). დისკუსიაში მონაწილეობდნენ ჩვენი დელეგაციის წევრები: პროფესორები ე. მექვაბიშვილი, რ. გველესიანი, ე. ხარაიშვილი და ბგუ-ის პროფესორები: ჰ. ბარ-გერა, რ. ბარ-ელი, შ. ჰარტალი, ი. ტურბინერი, ი. შავიტი, ჰ. კათზი, მ. მალული.

თსუ-ის დელეგაციის მეორე ნაწილი (პროფ. ი. ხელაშვილი, ასოცირებული პროფ. გ. შიხაშვილი, ა. მიქაბერიძე და სტუდენტები: მ. მჭედლიშვილი, მ. ქვრივიშვილი, ნ. თოდუა, ს. სახვაძე, თ. ჩუბინიძე, მ. შვანგირაძე, ა. ყუბანეიშვილი) გაემგზავრა ქალაქ ეილატში, სადაც დაათვალიერეს ბგუ-ის სასტუმროებისა და ტურიზმის დეპარტამენტის კამპუსი და დაესწრნენ დოქტორ ი. ბელქასენის ლექციას ეილატში ტურიზმის განვითარების შესახებ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ დეპარტამენტის აკადემიური დირექტორი, პროფესორი ი. ფორია (ისრაელი) და ჩვენი დელეგაციის წევრები.

**14 მარტს** გაიმართა საჯარო პოლიტიკის და ტურიზმის დეპარტამენტების კოლოქვიუმები, რომლებზეც მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. ე. ხარაიშვილი („სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ისრაელში“), პროფ. ე. მექვაბიშვილი („საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალი: თანამედროვეობა და პერსპექტივები“) და პროფ. ი. ხელაშვილი („მდგრადი ტურიზმის განვითარება საქართველოში: პოტენციალი და პრობლემები“). კოლოკვიუმებს ესწრებოდნენ და დისკუსიებში მონაწილეობდნენ ბგუ-ის პროფესორები (ფ. იუვალი, ა. შანი, ი. ფორია) და თსუ-ის დელეგაციის წევრები.

იმავე დღეს გაიმართა ბგუ-ისა და თსუ-ის სტუდენტების შეხვედრა და მოხსენებების წარდგენა (მოდერატორი - ასოცირებული პროფ. გ. შიხაშვილი). მოხსენებებით გამოვიდნენ სტუდენტური გუნდები: 1) მ. მჭედლიშვილი, მ. ქვრივიშვილი („ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევა სტუდენტურ ცენტრ „იდეაში“); 2) ნ. თოდუა, ს. სახვაძე („ისრაელის ეკონომიკური სასწაულები“); 3) თ. ჩუბინიძე, მ. შვანგირაძე, ა. ყუბანეიშვილი („მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში - წარსული, აწყობი, მომავალი“). დისკუსიაში მონაწილეობდნენ ბგუ-ისა და თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები. იმსჯელს ცენტრ „იდეას“ მიერ განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე. გამოითქვა მოსაზრებები ბგუ-ში ანალოგიური სტუდენტური ცენტრის ჩამოყალიბებისა და მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

**15 მარტს** ქართული დელეგაცია გაეცნო მკვდარი ზღვის ქიმიური ქარხნისა და ქალაქ ჰურას სოციალური საწარმოს მუშაობას, აგრეთვე ბედუინთა თემის ცხოვრებას.

**მთლიანობაში,** ბენ გურიონის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე 10-15 მარტს ჩატარებული აკადემიური სემინარი იყო მეტად საინტერესო, შემოქმედებითი და წარმატებული. მოხდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-სასწავლო გამოცდილების გაზიარება, დაისახა სამომავლო ურთიერთობების გეგმები, რაც უთუოდ წაადგება ორი უნივერსიტეტის ნაყოფიერ თანამშრომლობას.

#### იხილეთ:

გიორგი შიხაშვილი. საერთაშორისო აკადემიური სემინარი ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ისრაელი) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე.

- ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი #1, 2018, გვ.: 206-208.  
[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/jurnal%201.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/jurnal%201.pdf)
- თსუ ეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი: 11.04. 2018.  
<https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/DY3qDlIJSCmcbsEMa/?p=1&fbclid=IwAR3Li063ahqcZFbGCZvaIzDqg9e4L8gxk0INsVu5tzM0mIedXSN91CV67OE>

\* \* \*

### 3)ცენტრი „იდეას“ სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული პერიოდული ჟურნალი - „სტუდენტური კვლევები და პროექტები“

თსუ სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით დაფინანსდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტი - I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები - ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“ (საქართველო, ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017). პროექტი მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს.

საზაფხულო სკოლის მუშაობაში სტუმრისა და მომხსენებლის რანგში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთა შორის იყვნენ ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური; თსუ პროფესორი, თბილისის იმუსმინდელი მერი დავით ნარმანია; ბათუმის მერის მოადგილე ბაგრატ მანველიძე; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე; თსუ-სა და ბსუ-ს უნივერსიტეტების პროფესორები და შესაბამისად 12 და 5 სტუდენტი, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები საქართველოდან და ისრაელიდან. სულ

ისრაელის მხარეს წარმოადგენდა 9 ადამიანი მათ შორის, ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორი აპარონ გაგულაშვილი, პროფესორები და სტუდენტები ნეგევის ბერ გურიონის უნივერსიტეტიდან.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში - სკოლის მიმდინარეობისას, პირველად თსუ-სა და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ისტორიაში დაფუძნდა ცენტრი „იდეას“ სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული პერიოდული უურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“. უურნალის პირველ ნომერში (#1, 2017, ფორმატი A4, 129 გვ.), რომელიც დაიბეჭდა თსუ გამომცემლობაში 2017 წლის დეკემბერში, ასახულია საზაფხულო სკოლაში წარმოდგენილი მოხსენებები.

უურნალის მეორე ნომერი (#1-2, 2018, ფორმატი A4, 132 გვ.) დაიბეჭდა თსუ გამომცემლობაში 2018 წლის ივნისში. მასში ასახულია:

- ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტის აკადემიურ სემინარზე წარმოდგენილი მოხსენებები;
- სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ისტორიისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა (2000-2018 წწ.);
- ცენტრი „იდეას“ მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების
- ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 2014-2018 წლებში;
- ანგარიში სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
- 2014 წელს გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში;
- 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;
- 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;
- 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;
- ცენტრი „იდეას“ მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობა;
- გ.შიხაშვილი. საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: საერთაშორისო აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში;
- ისტორიის გახსენება: სტუდენტური ცენტრი „იდეას“ წევრთა გუნდური მოხსენებები (დაბეჭდილია 9 მოხსენება) III საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე “ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა” (თბილისი, თსუ, ISET, 2016 წლის 17-18 მაისი);
- სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2013-2018 წლებში განხორციელებული უმთავრესი ღონისძიებების ფოტოგალერეა.

დღეისათვის მიმდინარეობს მუშაობა 2019 წლის მაის-ივნისში თსუ გამომცემლობაში უურნალის ახალი ნომრის დასაბუჭდად, რომელშიც განთავსდება სტუდენტთა, პროფესორთა და სპეციალისტთა ნაშრომები შემდეგი მიმართულებებით:

- გასულ პერიოდში ჩატარებული კონფერენციების, სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარების/სკოლების და ტრენინგების მასალები;
- სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტები;
- ცენტრი „იდეას“ პროგრამის („აშშ ეკონომიკა და ბიზნესი“) ფარგლებში შესრულებული ერთობლივი (პროფესორი და სტუდენტები) სტატია - „კალიფორნიის ეკონომიკა და ბიზნესი“;
- ერთობლივი (პროფესორი და სტუდენტები) სტატია „თანამედროვე სასწავლო-ტექნოლოგიური მეთოდიკის გამოყენება სტუდენტთა სწავლის პროცესში“.

მიმდინარეობს, აგრეთვე მოსამზადებელი მუშაობა, რათა ახლო მომავალში, უკრნალმა იფუნქციონიროს უკვე საერთაშორისო სტატუსით.

\* \* \*

#### 4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტით

ცენტრი „იდეას“ დირექტორის გიორგი შიხაშვილის და ცენტრის მენეჯერის, მეოთხე  
კურსის სტუდენტის შ.გაბადაძის ლექცია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში

2018 წლის 8 მაისს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ბატონ აკაკი ბაკურაძის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ქალბატონ ნანა შონიას მიწვევით, ლექცია წაიკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა თემაზე: „თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა სასწავლო პროცესში“. მომხსენებელს ასისტენტობას უწევდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მენეჯერი შოთა გაბადაძე.

ლექციის მსვლელობისას მომხსენებელმა ისაუბრა მის მიერ შემუშავებული და სასწავლო პროცესში დანერგილი „ურთიერთგამოკითხვის“ და „გუნდური სემესტრული სასწავლო-შემეცნებითი პროექტების“ მეთოდების სასემინარო მუშაობის დროს გამოყენების შესახებ, მათ საჭიროებასა და ამ მეთოდებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულებაზე.

ლექციის მსვლელობისას შოთა გაბადაძეს საშუალება მიეცა სტუდენტის პოზიციიდან დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრებები ზემოხსენებული მეთოდების შესახებ.

ლექციას ესწრებოდნენ აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ლექციის მსვლელობისას დაისვა მრავალი საინტერესო კითხვა და მთელი შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხისა და დისკუსიის რეჟიმში. განხილულმა მეთოდებმა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა და გამოითქვა სემინარებზე მსგავსი მეთოდების დანერგვის სურვილი, დაისახა მომავალში ანალოგიური აქტუალური ლექციების ჩატარების გეგმები.

#### იხილეთ:

ასოცირებული პროფესორის გიორგი შიხაშვილის ლექცია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 8.05.18:

- თსუ ეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი: 2018-05-16.  
[https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/NMmIXXANOH6jiEWPa/?p=1&fbclid=IwAR0kO6HoVP5Qok2e1pjccamRdfUp76TLzFEU8xlU9SBT\\_MvpBpnFlbpMpaQ](https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/NMmIXXANOH6jiEWPa/?p=1&fbclid=IwAR0kO6HoVP5Qok2e1pjccamRdfUp76TLzFEU8xlU9SBT_MvpBpnFlbpMpaQ)
- <https://www.facebook.com/guranda.pxakadze/posts/1097541027055089>

\* \* \*

**5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა შოთა რუსთაველის სახელობის  
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტთან და ბსუ სტუდენტურ ცენტრ „ახალი ხედვასთან“**

**2018 წლის განმავლობაში ვითარდებოდა მჭიდრო ურთიერთობა ბსუ ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტთან და ჩვენი რჩევისა და კონსულტაციების საფუძველზე შექმნილი ბსუ-ს  
სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „ახალი ხედვა“-სთან.**

**საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოკლედ გადმოვცემთ ჩვენი თანამშრომლობის  
წინაისტორიას.**

**2017 წლის თებერვალს მოეწყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის,  
ცენტრი „იდეას“ დირექტორის და ცენტრის მენეჯერთა ვიზიტი ბათუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში. ვიზიტის უმთავრესი მიზანი იყო თსუ-სა და ბსუ-ს შორის არსებული  
მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოება ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტების სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისა და სათანადო პროექტების  
განხორციელების სფეროში და კერძოდ ბსუ-ში ცენტრი „იდეას“ ანალოგიური სტუდენტური  
ცენტრის დაფუძნება.**

**მომავალი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განხილვა-კონსულტაციების  
შედეგად ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და 2017  
წლის 13 თებერვალს დაფუძნდა სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი  
ხედვა“, რომელიც მას შემდეგ მჭიდროდ თანამშრომლობს ცენტრ „იდეას“-სთან. მაგალითად,  
ბსუ-მ, ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა და სტუდენტურმა ცენტრმა „ახალი ხედვა“,  
მნიშვნელოვანი ფინანსური და ორგანიზაციული როლი შეასრულეს გონიოს საზაფხულო  
სკოლის (2017 წლის 2-9 აგვისტო) მომზადებასა და წარმატებით ჩატარებაში.**

#### **იხილეთ:**

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი: 2017-02-17.  
**სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ვიზიტი ბათუმის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში.**  
[https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/ZgMFVkXlu9\\_OUFL3e/?p=1](https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/ZgMFVkXlu9_OUFL3e/?p=1)
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი: 2017-08-21  
**სტუდენტური სამეცნიერო პროექტი.**  
<https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/pr/information/oHcBLZGmLxacLnV83/?p=1>
3. ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი: 3.08.17. საერთაშორისო  
საზაფხულო სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების  
მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“. <https://www.bsu.edu.ge/sub-33/page/8554/index.html>

**2018 წლის ივნისიდან ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და სტუდენტური  
კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“, თსუ ცენტრ „იდეასთან“ ერთად 2019 წელს  
ჩასატარებლად ამზადებს სტუდენტურ საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ  
სკოლა-ტრენინგს „პროექტების დაგევმვა და მართვა“, რომლის ორგანიზებასა და მუშაობაში  
აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურა და  
ცენტრი „იდეას“ წევრები.**

მზადდება, აგრეთვე ცენტრი „იდეას“ დირექტორისა და ცენტრის მენეჯერის ლექცია-სემინარი ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თემაზე: „თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა სწავლის პროცესში“.

\*\*\*

## 6) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სამი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საზაფხულო სკოლა (2014 წელს მესტიაში, 2015 წელს სიღნაღში, 2016 წელს თბილისში და 2017 წელს გონიოში).

2018 წლის 10-15 მარტს ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში საქართველოში ისრაელის საელჩოს თანადგომით ჩატარდა ერთობლივი აკადემიური სემინარი (იხ.: ზემოთ, გვ. 3-5).

2018 წლის განმავლობაში შედგა რამდენიმე შეხვედრა ისრაელის ელჩთან, ბატონ შაბთაი ცურთან.

2018 წლის 15 თებერვალს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურმა საელჩოში უმასპინძლა გონიოს საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული საზაფხულო სკოლის (გონიო, 2017 წლის 2-9 აგვისტო) თანაორგანიზატორებს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს, თსუ სტუდენტური კვლევების და პროექტების ცენტრი „იდეას“ დირექტორს გიორგი შიხაშვილს და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორს აპარონ გაგულაშვილს.

ისრაელის საელჩო საქართველოში და „ნეტაფიმ-საქართველო“ აღნიშნული სტუდენტური სკოლის თანაორგანიზატორები იყვნენ. სტუმრებმა თსუ-დან ცენტრ „იდეას“ ღონისძიებებში გაწეული დახმარებისა და შეტანილი წვლილისათვის ბატონ ელჩს შაბთაი ცურს და ბატონ აპარონ გაგულაშვილს მადლობის სიგელები გადასცეს. შეხვედრის მონაწილეებმა სამომავლო ერთობლივ გეგმებზეც ისაუბრეს.

2018 წლის 16 ოქტომბერს, ისრაელის საელჩოს მიწვევით, ცენტრი „იდეას ხელმძღვანელობა და წევრები დაესწრებ ისრაელის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს „მაშავის“ 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ მიღებას, რომელის გაიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მუშრნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

2019 წელს და მომავალში დაგეგმილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ცენტრი „იდეას“ ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება ისრაელის საელჩოსთან საქართველოში.

კერძოდ, განზრახულია, 2019 წლის ოქტომბერში და მომავალში, ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტთან ერთობლივი ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების (საზაფხულო/ზამთრის სკოლების) სახელწოდებით „სტუდენტურო კვლევები და პროექტები“, ჩატარება მორიგეობით საქართველოში და ისრაელში.

\*\*\*

## 7) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

ძალიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ (დირექტორი - აპარონ გაგულაშვილი). ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუსა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის.

მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას. მემორანდუმით გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;
2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;
3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურისა და სტუდენტური ცენტრ „იდეას“-ს წევრების გაგზავნა ისრაელსა და საქართველოში კომპანიის საწარმოებში გამოცდილების გასაზიარებლად, სტაჟირებასა და პროფესიულ პრაქტიკაზე;
4. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით:

- 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღმში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.
- 2016 წლის 17-18 მაისს თბილისში ჩატარდა III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.
- 2017 წლის 2-9 აგვისტოს გონიოში ჩატარდა I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები - ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“.

2018 წლის 10-15 მარტს ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ თანადგომით ჩატარდა ერთობლივი აკადემიური სემინარი (იხ.: ზემოთ, გვ. 3-5).

განზრახულია, 2019 წლის ოქტომბერში და მომავალში, ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტთან და ისრაელის საელჩოსთან ერთობლივი ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების (საზაფხულო/ზამთრის სკოლების) სახელმწიფო თბილისის უნივერსიტეტის კვლეული და პროექტები“, ჩატარება მორიგეობით საქართველოში და ისრაელში.

\*\*\*

## **8) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან**

2014 წლიდან ვითარდება ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასთან/ისრაელის სახლთან (ხელმძღვანელი - ბატონი იციკ მოშე).

**2018 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში „ისრაელის სახლის“ ორგანიზებით, აღინიშა ემრაული კულტურის ევროპული დღეები და ებრაული ახალი წელი.**

ღონისძიებას დაესწრნენ ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერი და ქნესეთის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ხილიკ ბარი, საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი და ისრაელთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე, საქართველოში მოღვაწე ებრაელი ბიზნესმენები, ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ. ღონისძიებას, სპეციალური მოწვევის საფუძველზე, ასევე ესწრებოდნენ თსუ-ის, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო „ისრაელის სახლის“ მიერ მომზადებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. წარმოდგენილი იყო ასევე „ისრაელის სახლსა“ და ევროსაბჭოს მორის თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა 2019 წლისთვის და ინფორმაცია მომავალი წლის მარტისთვის თბილისში დაგეგმილი ევროსაბჭოს ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის (AEPJ) გენერალური ასამბლეის შესახებ. ასევე ისაუბრეს სამომავლო პროექტზე, რომლის ფარგლებშიც „საერთაშორისო ურთიერთობების“, „საერთაშორისო ეკონომიკისა“ და „საერთაშორისო ბიზნესის“ სპეციალობზე ჩარიცხულ ქართველ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ შესაბამის პროექტში გამარჯვების შემთხვევაში გაემგზავრონ ისრაელში, შეხვდნენ იქაურ შესაბამის ორგანიზაციებს, წამყვან ტელეკომპანიებს, მედიას, გაეცნონ ისრაელის კულტურასა და მიღწევებს აღნიშნულ სფეროებში.

\* \* \*

## **9) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან/მერიასთან**

თსუ-სა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის 2014 წელს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში 2016 წელს ცენტრ „იდეაში“ დაწყებულია მუშაობა ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობს ცენტრის პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის დოქტორანტი, ქ. მესტიის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე განაია.

2018 წლის 21 მაისს, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ოფისში გ.შიხაშვილმა და მესტიის მერიის წარმომადგენელმა ე.განაიამ სტუდენტებს ჩაუტარეს სემინარი, რომელზეც განიხილეს პროექტების მომზადებისა და პრეზენტაციის მეთოდოლოგიური საკითხები. სტუდენტურმა გუნდებმა სემინარზე წამოადგინეს წერითი დავალებები - მიმდინარე ანგარიშები პროექტის შედეგების შესახებ. გაიმართა მსჯელობა პროექტების მომზადებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

2019 წელს და მომავალში განხრაშულია მესტიის მერიასთან ერთად ტრენინგების ჩატარება და კვლევების გაფართოება ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის მიმართულებით.

\*\*\*

**10) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, გიორგი შიხაშვილის პუპლიკაციები, მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში.**

2018 წლის განმავლობაში ცენტრი „იდეას“ დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა 10-ზე მეტ ტრენინგში, კონფერენციაში და აკადემიურ სემინარში ტრენერის, ორგანიზატორის, მოდერატორის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ისრაელი, ბელორუსი). გამოქვეყნებული აქვს 1 მონოგრაფია და 9 ნაშრომი სამეცნიერო ჟურნალებში და კონფერენციების კრებულებში

\*\*\*

**11) ცენტრი „იდეას“ ტრენინგები და პროგრამული ღონისძიებები თსუ-სა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პოპულარიზაციისთვის**

ცენტრი „იდეას“ მთავარი პროგრამა - „შეიმუცნე და ააღორმინე საქართველო“, შესაბამის კვლევებთან ერთად, ითვალისწინებს სპეციალური ლექცია-სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ს გარე სამიზნე ჯგუფებისათვის სემდევ თემებზე:

- თსუ - უმაღლესი განათლების ლიდერი;
- პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა;
- დროის მართვა;
- პროექტების შედგენა;
- გრანტის მოპოვება;
- კონფერენციების მოწყობა;
- საზაფხული სკოლების მოწყობა;
- სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა;
- ადგილობრივი მართვა და სხვ.

2018 წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ აგრძელებდა ტრენინგების ციკლს. კერძოდ:

2018 წლის 17, 24 და 31 მაისს, ცენტრი „იდეას“ ოფისში (ოთ. #1008), ცენტრის წევრებისათვის ტრენინგები ჩატარა ცენტრის დირექტორმა გიორგი შიხაშვილმა.

**17** მაისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროექტების შედგენისა და მართვის მეთოდოლოგიური ასპექტები“. ტრენინგს ესწრებოდნენ ცენტრი „იდეას“ წევრები. სწავლება წარიმართა ინტერაქტიული, თანამშრომლობითი მეთოდის გამოყენებით და ტრენინგის მონაწილეებს საშუალება მიეცათ შეედგინათ გუნდური მიკრო-ექსპრესპროექტები „ერთდღიანი რთველის ორგანიზება“. სტუდენტებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

**24** და **31** მაისს ცენტრი „იდეას“ ოფიშში ცენტრის წევრებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე: „დროის მართვა - საჯარო სკოლის კურსი“. ტრენერი - ცენტრის დირექტორი - გ. შიხაშვილი. ტრენინგის მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ „ტრენერთა ტრენერის“ სერტიფიკატები და მიეცათ შესაძლებლობა დმანისის საჯარო სკოლაში 1 ივნისს ჩაეტარებინათ ტრენინგი 9-12 კლასების მოსწავლეებისთვის თემაზე: „დროის მართვა - საჯარო სკოლის კურსი“.

#### **2018 წლის 1 ივნისს დმანისის საჯარო სკოლაში მოეწყო:**

- ლექცია თემაზე: „თსუ - უმაღლესი განათლების ლიდერი“ (ლექტორი გ. შიხაშვილი);
- ტრენინგი თემაზე: „დროის მართვა“ (ტრენერები - ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტები).

ღონისძიებას დაესწრნენ სკოლის დირექტორი, პედაგოგები და მოსწავლეები.

ტრენინგი წარიმართა ინტერაქტიული, თანამშრომლობითი მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ჩართულიყვენენ ტრენინგის მსვლელობაში და დაეფიქტირებინათ საკუთარი აზრი. ჩაუტარდათ სახალისო ტესტი დროის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოვლინდნენ გამარჯვებულები და გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. ტრენინგის მონაწილეები დაკილდოვდნენ შესაბამისი სერტიფიკატებით.

ტრენინგის შემდეგ ცენტრი „იდეა“ ეწვია დმანისის ნაქალაქარს და სადაც გაეცნო არქეოლოგიურ აღმოჩენებსა და სიახლეებს. ადგილობრივი მონასტრის ეკლესიაში მეგზურობა გაგვიწია ბერმა ანთიმოზმა, რომელმაც გაგვაცნო ეკლესიის ისტორია და დაგვათვალიერებინა მონასტრის სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, სადაც ბერები ეწევიან სოფლის მეურნეობას, მეფუტკრეობას და ა.შ.

დღის ბოლოს მოვინახულეთ ბოლნისში, წმ. ელიას მთაზე წმ. პეტრე და პავლეს სახელობის მონასტრი, გავეცანით იქ მოღვაწე ბერების საქმიანობას და დავაგემოვნეთ მონასტრში წარმოებული ღვინო „რქაწითელი“.

საბოლოოდ, ცენტრი „იდეას“ ვიზიტმა დმანისში წარმატებით ჩაიარა, გამოითქვა დმანისის რაიონსა და თსუ-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი და დაისახა სამომავლო გეგმები.

**2018 წლის 1 ნოემბერს დაიწყო ტრენერთა ტრენინგი ცენტრი „იდეას“ წევრებისთვის თემაზე: „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“. 20 დეკემბრიდან გამოცხადებულია შესვენება მეორე სემესტრის დაწყებამდე. ტრენინგი გაგრძელება 2019 წლის მარტის დასაწყისიდან და დასრულდება აპრილის შუა რიცხვებში.**

\* \* \*

## **12) ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში**

2018 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

\* \* \*

## **13) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრი „იდეას“ ოფისში**

2018 წლის 11 და 14 ივნისს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“-ს ოფისში ჩატარდა სემესტრული სტუდენტური გუნდური პროექტების პრეზენტაცია პრეზენტაციაში მონაწილეობდა 5-7 სტუდენტისაგან შემდგარი 22-მდე საპროექტო გუნდი. პრეზენტაციას ხელმძღვანელობდა ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი გიორგი შიხაშვილი.

წარმოდგენილ პროექტებს გ.შიხაშვილთან ერთად, აფასებდა კომისია, რომლის წევრები იყვნენ წინასწარ დატრენინგებული ცენტრის მენეჯერები - ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები.

პრეზენტაციამ შემოქმედებით და ინტერაქტიულ გარემოში ჩაიარა. წარმოდგენილი პროექტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

2018 წლის 27 და 28 დეკემბერს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ ოფისში ჩატარდება სტუდენტური სემესტრული გუნდური პროექტების მორიგი პრეზენტაცია პრეზენტაციაში მონაწილეობას მიიღებს 5-7 სტუდენტისაგან შემდგარი 18-მდე საპროექტო გუნდი. პრეზენტაციას უხელმძღვანელებს ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი გიორგი შიხაშვილი.

წარმოდგენილ პროექტებს გ.შიხაშვილთან ერთად, შეაფასებს კომისია, რომლის წევრები ინებიან წინასწარ დატრენინგებული ცენტრის მენეჯერები - ფაკულტეტის სტუდენტები.

\* \* \*

## **14) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.**

2018 წლის პირველი სემესტრიდან სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ქსეროსსლები ს. რობინსის და მ. კოულტერის სახელმძღვანელოსი - „მენეჯმენტი“, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ცენტრი „იდეას“ წევრებმა (გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი), უძღვებოდნენ რა სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც გახორციელდა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

\* \* \*

## **სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ 2019 კალენდარული წლის და შემდეგი წლების გეგმების შესახებ**

ამ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები და იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2019 და შემდეგი წლებისთვის.

2019 წელს და შემდგომ წლებში ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით განზრახულია შემდეგი ძირითადი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება და წამოწყება:

1. 2019 წლის მაის-ივნისში მორიგი, მესამე ნომრისა და შემდგომში რეგულარული გამოცემა სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული პერიოდული ჟურნალისა - „სტუდენტური კვლევები და პროექტები“; მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება ჟურნალისთვის საერთაშორისო სტატუსის მოსაპოვებლად;
2. 2019 წლის აპრილ-მაისში გამოცემა წიგნისა: „თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ - წარსული, აწყობი, მომავალი“;
3. 2019 წლის ოქტომბერში განზრახულია ისრაელის მხარესთან (მათ შორის, ბგუ-სთან, ისრაელის საელჩოსთან, ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ და საქართველოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან) ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის („სტუდენტური კვლევები და პროექტები“) მოწყობა თელავის უნივერსიტეტში; შემდგომ წლებში ანალოგიური და სხვა აქტუალური კონფერენციების ჩატარება მორიგეობით ისრაელში და საქართველოში;
4. კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორის, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის, კალიფორნიისა და სან-დიეგოს უნივერსიტეტებისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით;
5. კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული ბრიტანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორის, ოქსფორდის უნივერსიტეტისა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით;
6. კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული აზერბაიჯანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
7. სათანადო გრანტების მოძიება და დაწყება მთარგმნელობითი პროექტებისა:
  - „მენეჯმენტის კლასიკოსები“ (2019 წელს - პ. დრაკერის მონოგრაფია მენეჯმენტის გამოწვევები 21-ე საუკუნეში. Management Challenges for the 21th Century. Harper Business. 2011);
  - 2020 წლიდან - პროექტი „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“.
8. თანამშრომლობის გაღმავება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით;

9. ტრენინგის გაგრძელება (მარტის დასაწყისი-აპრილი) ფაკულტეტის ცენტრი „იდეას“ წევრებისთვის თემაზე: „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“;
10. გრანტების მოძიება 2019 წელს და შემდგომი წლებისათვის თბილისში და საქართველოს რეგიონებში შემდეგი ორნაწილიანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო პრაქტიკული პროექტის განსახორციელებლად:
  - თსუ-სა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პოპულარიზაციის მიზნით სპეციალური ლექცია-სემინარის მოწყობა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში (საჯარო და კერძო სკოლები, გიმნაზიები, დამწყები ბიზნესმენები და სხვ.) თბილისისა და ქვეყნის მასშტაბით თემაზე: „თსუ უმაღლესი განათლების ლიდერი“;
  - ტრენინგების მოწყობა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში (საჯარო და კერძო სკოლები, გიმნაზიები, დამწყები ბიზნესმენები და სხვ.) თბილისისა და ქვეყნის მასშტაბით თემაზე: „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“.
11. ურთიერთობის გაღრმავება ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „ახალ ხედვა“-სთან. მონაწილეობის მიღება მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში;
12. საკონსულტაციო მონაწილეობის მიღება ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ანალოგიური ცენტრების შექმნაში;
13. თანამშრომლობის გაღრმავება მესტიისა და ყაზბეგის მერიებთან და სხვა სამიზნე ჯგუფებთან;
14. სასწავლო-შემეცნებითი გუნდური პროექტების სემესტრული პრეზენტაციების რეგულარული ჩატარება.

\* \* \*

## უმთავრესი დასკვნა სტუდენტური ცენტრი „იდეას“ საქმიანობის შესახებ

მთლიანობაში, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ 2018 წელს ნაყოფიერად იმუშავა მთლიანად თსუ-ს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და სტუდენტების სასარგებლობად.

ახალ, 2019 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გავმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

\* \* \*

### მთავარი ინფორმაციული წყაროები

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და  
პროექტების ცენტრი „იდეას“ და მისი საქმიანობის შესახებ  
ცენტრი ფუნქციონირებს მენჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე

1. ცენტრის ვებ-გვერდი: <http://centeridea.tsu.ge/>
2. ცენტრის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი: <https://www.facebook.com/centeridea/>

3. ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი: [center.idea@tsu.ge](mailto:center.idea@tsu.ge)
4. ცენტრის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი #1, 2017. <http://centeridea.tsu.ge/wp-content/uploads/2018/12/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C.%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2.%E1%83%99-%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%91%E1%83%98.12017.pdf>
5. ცენტრის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი #1-2, 2018. <http://centeridea.tsu.ge/wp-content/uploads/2018/06/%E2%80%9E%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-1-2-2018.pdf>
6. ცენტრის დირექტორის გ.შიხაშვილის მონოგრაფია: ცხოვრება უნივერსიტეტით - წარსული, აწყობა, მომავალი. თბილისი, „მერიდიანი“, 2018. <http://centeridea.tsu.ge/wp-content/uploads/2018/06/%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0-%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%A3-%E1%83%97%E1%83%98.-2018.pdf>

## შინაარსი

შესავალი. ....1

1) ცენტრი „იდეას“ პროგრამული სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტი კახეთში - კარდენახის „ნაღდი მარანი“. ....2

2) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტთან.

საერთაშორისო აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე. ....3

3) ცენტრი „იდეას“ სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული პერიოდული ჟურნალი - „სტუდენტური კვლევები და პროექტები“. ....5

4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ცენტრი „იდეას“ დირექტორის გიორგი შიხაშვილის და ცენტრის მენეჯერის, მეოთხე კურსის სტუდენტის შოთა გაბადაძის ლექცია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ....7

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან და ბსუ სტუდენტურ ცენტრ „ახალ ხედვასთან“. ....8

6) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში. ....9

7) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“. ....10

8) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან. ....11

9) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან/მერიასთან. ....11

10) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, გიორგი შიხაშვილის პუბლიკაციები, მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში. ....12

11) ცენტრი „იდეას“ ტრენინგები და პროგრამული ღონისძიებები თსუ-სა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პოპულარიზაციისთვის. ....12

12) ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში. ....14

13) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრი „იდეას“ ოფისში. ....14

14) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014. ....14

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ 2019 კალენდარული წლის და შემდეგი წლების გეგმების შესახებ. ....15

უმთავრესი დასკვნა სტუდენტური ცენტრი „იდეას“ საქმიანობის შესახებ ...16

მთავარი ინფორმაციული წყაროები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ და მისი საქმიანობის შესახებ. ....16

\* \* \*

გიორგი შიხაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი  
„იდეას“ დირექტორი, ეკონომიკის დოქტორი

25 დეკემბერი, 2018 წ.